ანა ხვედელიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სკოლის რეორგანიზაცია, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების საფუძველი (1918-1921)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევას ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მათ შორის განათლების დარგში ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების შესწავლის კუთხითაც. მაგრამ, ვფქრობთ, რომ ნაციონალური იდენტობის ფორმირებასთან მიმართებით ეს საკითხი დამუშავებული არ არის. საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიანი მემკვიდრეობა დღესაც არ კარგავს აქტუალობას. უფრო მეტიც, სულ უფო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხდება პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობის სწორი კვლევა და ანალიზი იმ ისტორიული მეხსიერების აღდგენისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური რეჟიმის მსხვერპლს წარმოადგენდა.

პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და ინტელექტუალები ბევრს მსჯელობდნენ განათლების სისტემის მოწყობის გზებზე, რეფორმების სწორად დაგეგმვა-გატარების აუცილებლობაზე. ამ პერიოდის ქართული პრესის, პუბლიცისტიკის, სახალხო განათლების სამინისტროს საარქივო მასალების შესწავლა-გაანალიზებით ირკვევა, რომ ქართველი რეფორმატორების პირველი მიზანი, განათლებაში არსებული რუსიფიკატორული პოლიტიკის აღმოფხვრასა და განათლების ნაციონალიზაცია-დემოკრატიზაციასთან ერთად, განათლების ეროვნული კონცეფციის შემუშავებაა, რომელიც სკოლის გაეროვნულებას გულისხმობს. ასევე, ქართული რეალობის ევროპული განათლების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა მათ მთავარ საზრუნავს წარმოადენს. ეტაპობრივი მუშაობის შედეგად, განათლების სფეროში მათ შექმნეს ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც გამოიხატა სკოლების გაეროვნულებაში, ახალი, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების შექმნაში. სწავლების ნაციონალიზაციამ და ქართული ენის პოლიტიკის გატარებამ დღის წესრიგში დასვა ეროვნული უმცირესობების საკითხიც საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში. საკანონმდებლო დონეზე შემუშავდა მთელი რიგი დებულებები, რომლებიც გამოირჩეოდა ეროვნული უმცირესობე-

ბისადმი დემოკრატიული მიდგომებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა განათლების საკითხის დასმა და მათი დარეგულირება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში.[1] მთავრობის პოლიტიკას არ უნდა გამოეწვია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მკვეთრი წინააღმდეგობრივი რეაქცია და გაეტარებინა ბალანსის პოლიტიკა. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ სკოლის პარალელურად ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა წარმოებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიასა და გვარდიაში.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო ჩვენგანვე დამოუკიდებლად არის განსაზღვრული. შესაბამისად, ისტორიული პერიოდი არის ის ჩარჩო, რომლის გარეშეც აზრს იქნებოდა მოკლებული საკითხის ამგვარად ფორმულირება. ლოუელ ბარინგტონის რედაქტორობით გამოცემული კრებულის შესავალში (After Independence: Making and Protecting the Nation in postcolonial and postcommunist States, The University of Michigan Press, 2006) ავტორი მსჯელობს ნაციონალიზმის თავისებურებების შესახებ: მას შემდეგ, რაც ნაციონალისტური ელიტები მიაღწევენ თავიანთ მიზანს – დამოუკიდებლობას, ისმის კითხვა, როგორია დამოუკიდებლობისშემდგომი ნაციონალიზმი, რა თავისებურებებით ხასიათდება ის? ჩვენი კვლევაც ამ კითხებზე პასუხის გაცემის მცდელობაა. კონკრეტული სტატიის ფარგლებში კი შევეცდებით, ამ კითხვაზე პასუხი დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულების – სკოლის რეორგანიზაციის გარშემო მსჯელობით გავცეთ, კერძოდ კი, გავაანალიზოთ განათლების მინისტრის მოადგილის, ნოე ცინცაძის მოხსენება „სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“.

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის წარმომადგენლები მუდმივად ხაზს უსვამენ განათლების უმნიშვნელოვანეს და განმსაზღვრელ როლს ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში. ბენედიქტ ანდერსონის აზრით, ფართო კულტურული სისტემა – ბეჭდვითი მედია, წერა-კითხვის გავრცელება, განათლება, – ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობისათვის (ანდერსონი 2003: 10). ერიკ ჰობსბაუმი კი აღნიშნავს, რომ სკოლებისა და უნივერსიტეტების განვითარება პირდაპირ კავშირშია ერის, ნაციის თვითგამორკვევის პროცესებთან (Hobsbawm 1962: 168). ნაციონალიზმის თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ მმართველი ელიტები დღის წესრიგში თავად სვამენ კულტურული, საგანმანათლებლო და ენობრივი სტანდარტების საკითხებს. ისინი გეგმაზომიერი პოლიტიკით ადგენენ მოქალაქეების ნაციონალური იდენტობის ფორმირების კონტურებს. თუ მთლიანობაში თვალს გადავავლებთ საქართველოს დე-

[1]ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" დამკვიდრებული იყო ჩვენთვის საინტერესო პერიოდში და გამოყენებულია კვლევის ემპირიულ მასალაში: საგაზეთო სტატიებში, ოფიციალურ დოკუმენტებში, საარქივო მასალაში (ა. ხვედელიანი).

მოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკას, დავინახავთ, რომ ეს პოლიტიკა მიმართულია, დაადგინოს ერის კულტურული, საგანმანათლებლო და ენობრივი სტანდარტები ქვეყნის ნაციონალური იდენტობის ფორმირებისათვის. მისი ამ კონტექსტში გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ ქართული სახელმწიფო ერთადერთი მისაღები კულტურული და პოლიტიკური ფორმაა ქართველი ერის შემდგომი განვითარებისათვის.

დასმული საკითხის გააზრებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ენტონი დ. სმითის მოსაზრება ნაციონალური იდენტობის დასავლური სამოქალაქო მოდელის შესახებ. ენტონი დ. სმითი ნაციონალურ იდენტობას უკავშირებს გარკვეულ ცნებას პოლიტიკური ერთობისა. პოლიტიკური ერთობა გულისხმობს საერთო ინსტიტუციებსა და ამ ერთობის ყველა წევრისათვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემის არსებობას. ასევე გულისხმობს განსაზღვრულ სოციალურ სივრცეს, მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიას, რომელთანაც არსებული ერთობის წევრები ასოცირდებიან (სმითი 2008: 10). პოლიტიკური ერთობის წევრთა მიერ საერთო სამართლებრივი თანასწორობის განცდა საერთო ღირებულებებისა და ტრადიციების წყალობით ხდება, რაც გულისხმობს შემდეგს: საერთო კულტურა, სამოქალაქო იდეოლოგია აკავშირებს ერთობის წევრებს მათსავე მიწა-წყალზე, ხოლო განათლების სისტემის საშუალებით ვრცელდება საერთო-სახალხო კულტურა. აქ ერი/ნაცია საერთო კულტურის მქონე ერთობაა, რომელსაც აერთიანებს საერთო ისტორიული მეხსიერება, მითები, სიმბოლოები, ტრადიციები. ისტორიული ტერიტორია – სამშობლო, სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება, საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია, ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფა – ყოველივე ეს არის ერის, ნაციის სტანდარტული, დასავლური მოდელის კომპონენტები და, შესაბამისად, ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელიც. ჩვენ ვცდილობთ, სტატიაში დასმული საკითხი ენტონი დ. სმითის თეორიის საზღვრებშიც მოვაქციოთ.

1918 წლის 26 მაისს ქვეყნის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას – დამოუკიდებლობის გამოცხადებას წინ უძღოდა 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და 1918 წელს უნივერსიტეტის დაარსება. მაშინდელი საერთაშორისო, პოლიტიკური და სოციალური ვითარების ფონზე ეს ორი მოვლენა ქართული საზოგადოების კონსოლიდაციისა და სწორი ორიენტირებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ ჩამოყალიბებული უმაღლესი სკოლის კონცეფცია ქმნიდა განათლების რეფორმის სწორ სისტემას, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ევროპული გზით განვითარებას შეესაბამებოდა (გაიპარაშვილი 2017: 6-7). აკაკი ჩხენკელმა, საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით, უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე სიტყვით გამოსვლისას, ფაქტობრივად, ჩამოაყალიბა საქართველოს მომავალი დემოკრატიული მთავრობის

საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი კონტურები და მიზნები. მან ქართველი ერის არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტად ქართული უნივერსიტეტის გახსნა მიიჩნია და მომავალ თაობას მოუწოდა, ქართული უნივერსიტეტი და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა, ეროვნული კულტურის განვითარებასთან ერთად, დემოკრატიული პრინციპების ერთგული და ხალხის მსახური ყოფილიყო: „ქართული უნივერსიტეტის უწმიდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისათვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას ჰქონდეს საშუალენა დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში.“[1]

აკაკი ჩხენკელის ეს სიტყვა შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ მანიფესტად ქვეყნის ეროვნული, ასევე ევროპული და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკას უნდა შეესრულებინა. განათლების სისტემის მაშინდელ მესვეურებს ესმოდათ, რომ ეროვნულ ნიადაგზე და კულტურული თანასწორობის პირობებში აღზრდილი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებისგან შექმნილი საზოგადოება ახალი დემოკრატიული ქვეყნის განვითარების საწინდარს წარმოადგენს. შესაბამისად, სტატიაში ვცდილობთ, ხაზი გავუსვათ განათლების პოლიტიკის იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც სწავლის გადაცემის პარალელურად წინა პლანზე უნდა წამოეწია ადამიანი, როგორც ფასეულობა, მისი ბუნების შემეცნება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ამ მხრივ მნიშვნელოვან დოკუმენტს, მანიფესტს წარმოადგენს განათლების მინისტრის მოადგილის – ნოე ცინცაძის მოხსენება „საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“.[2]

ნოე ცინცაძე თავის მოხსენებაში, რომლითაც იგი 1919 წლის 17 ივლისს გამოვიდა მთავრობის სხდომაზე, საუბრობს რუსიფიკატორული პოლიტიკის მძიმე შედეგებზე ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, შესაბამისად, მისი გარდაქმნისა და ახლით შეცვლის აუცილებლობაზე. დასაწყისშივე ის ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას, რომ ძველი საგანმანათლებლო სისტემა, ძველი სკოლა თავისი მიმართულებით და შინაარსით ძველი სინამდვილის ღვიძლი შვილია, რომელიც არ შეესაბამება ახალი ცხოვრების მოთხოვნებსა და მიზნებს. მისი გარდაქმნისა და რეორგანიზაციისათვის აუცილებელია ახალი საფუძველი, რომელზეც ახალი სკოლა უნდა დაფუძნდეს: „დემოკრატიზმი სოციალურის ინტენციით – აი მთავარი საფუძველი, რომელზეც ჩვენი ახალი სკოლა

[1] გაზ. „ერთობა“, #22, 1918 წელი, გვ. 2

[2] სცსს, ფონდი 1935, აღწ. I, საქმე # 518, ფურც. 2

უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ჰარმონიული ბუნების, კერძოდ, ადამიანის ნებისყოფის განვითარება – აი უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებდეს."[1] გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, იგი მუდმივად ჩართულია გარემოსთან ურთიერთობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუდმივი სოციალიზაციის პროცესშია, რომლის შედეგადაც ადამიანი იძენს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს. ასევე, როგორც შემოქმედებითი არსება, მონაწილეობას იღებს ამ საზოგადოების ღირებულებების გარდაქმნასა და ჩამოყალიბებაში. განათლების სოციალური ფუნქციის უმთავრესი მიზანი ადამიანის საზოგადოებისათვის ღირსეულ წევრად მომზადებაა. ნოე ცინცაძე, როდესაც განათლებასა და სკოლას სოციალურ მიზნებს (სოციალური ინტენცია) უსახავს, სწორედ იმ კომპეტენციების განვითარებას მოიაზრებს, რომლებიც საჭირო იქნებოდა 1918 წლის ახალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ განათლების ახალი სოციალური ფუნქციის ასრულება ვერ იქნებოდა ადვილი ახლშექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში იმ რთული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს რუსეთის იმპერიისგან ერგო.

როგორც ვიცით, დემოკრატია თანასწორობის პრინციპს ეფუძნება და ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის მოდელია. დემოკრატიულობის ამ თვისებიდან გამომდინარე, თანასწორობის იდეა ადამიანებს არჩეული გზით განვითარების საშუალებას აძლევს კულტურულ თანასწორობასთან ერთად. რადგანაც კულტურული თანასწორობის იდეა დარღვეული იყო რუსეთის იმპერიის პირობებში, შესაბამისად, სკოლაც წოდებრივ შემადგენლობაზე იყო აგებული. დღეს სკოლა არა მარტო შინაარსით, შემადგენლობითაც კი ერთიანი უნდა გახდეს, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით ერთიანი სასკოლო სისტემის ჩამოყალიბებით უნდა განხორციელებულიყო. ახალი სკოლა სამსაფეხურიან სისტემას მოიცავდა: სახალხო სკოლა, უმაღლესი დაწყებითი სკოლა და ოთხკლასიანი საშუალო სკოლა, რომელიც მეხუთე კლასიდან იწყებოდა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ახალი სკოლა ბიფურკაციის პრინციპზე აიგებოდა, რაც გულისხმობდა მოსწავლის უნარების ინდივიდუალიზაციასა და მათ გამოკვეთას. მოსწავლეს მიეცემოდა საშუალება, დამოუკიდებლად აერჩია მისთვის სასურველი სპეციალობის კურსი. თუმცა, არსებული კულტურული უთანასწორობისა და საზოგადოებრივი დონის გათვალისწინებით, ეს საკითხი პირველ ეტაპზე მხოლოდ იდეის დონეზე რჩებოდა.

ნოე ცინცაძის მოხსენება რამდენიმე ქვეპუნქტად შეიძლება დაიყოს, რომლებიც მნიშვნელოვან ღირებულებებს წამოსწევენ წინ სკოლის რეორგანიზაციისა და, შესაბამისად, ნაციონალური იდენტობის ფორმირების საკითხის დასმის კუთხითაც. როდესაც ნოე ცინცაძე სვამს კითხვას, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ახალი სკოლა, გარდა ცოდ-

[1] სცსსა, ფონდი 1935, ანაწ. I, საქმე # 518, ფურც. 2

ნის გადაცემისა, მას წინა პლანზე გამოჰყავს ადამიანი, როგორც ფასეულობა. საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინდივიდი ცენტრალიზებულია. „ცხოვრების სინამდვილე, რომლის ფარგლებში ადამიანის შემოქმედებითი ნება იშლება, თვითონ ადამიანია. ცხადია ადამიანის ბუნების შემეცნება სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად უნდა ჩაითვალოს, რისთვისაც სასკოლო პროგრამაში ფსიქოლოგიის შესწავლას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს“.[1] ადამიანისა და საზოგადოების დიქოტომიის პრინციპი ადამიანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ნოე ცინცაძე მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას ახალ სასკოლო სისტემას ერთ-ერთ უპირველეს მიზნად უსახავს და თვლის, რომ „ადამიანს სწორედ პოლიტიკურ ნიადაგზე უხდება თავისი ნებისყოფის გაშლა და სკოლის უდიდესი მიზანიც ამ პოლიტიკური ცხოვრების კანონების გაშუქება უნდა იქმნეს მოზარდი თაობისათვის, მისი მოქალაქეობრივი საკითხი უდიდეს საკითხად უნდა ითვლებოდეს.“[2] ადამიანისა და საზოგადოების სრულფასოვანი ურთიერთმიმართება ვერ შედგება, თუ ადამიანს არ შესწევს უნარი, ჩასწვდეს საზოგადოების ბუნებას და ქვეყნის ეროვნულ ფესვებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეისწავლის თავისი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს, გეოგრაფიას. საქართველოს ისტორიასთან ერთად, სასწავლო პროგრამას დაემატებოდა პოლიტიკური ეკონომია, ლოგიკა, სამართალი, ფიზიკური ვარჯიში და ხელსაქმის საგნები, ასევე, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნები. ნოე ცინცაძე ცალკე ყურადღებას უთმობს ჰუმანიტარული საგნების შესწავლას. ახალი ევროპის კულტურა გამსჭვალულია ჰუმანიზმის იდეებით და ქადაგებს დემოკრატიზმის პრინციპებს. მისი ხედვით, ლათინური ენის სწავლებიდან ამოღება და თანამედროვე ევროპული ენების შესწავლა დააახლოებდა საქართველოს ევროპის მოწინავე ქვეყნებთან. ნოე ცინცაძის ამ მოხსენებიდან იკვეთება ის მთავარი კონტურები, რომელთაც უნდა დაფუძნებოდა დემოკრატიული ქვეყნის განათლების სისტემა, ახალი სკოლა. ეროვნულ ნიადაგზე და კულტურული თანასწორობის პირობებში აღზრდილი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებისგან შექმნილი საზოგადოება, ახალი დემოკრატიული ქვეყნის განვითარების საწინდარს წარმოადგენს.

ნოე ცინცაძის მოხსენება „სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“ სწორედ იმ თვალსაზრისით არის გამორჩეული, რომ ის პასუხობს და თავსდება ენტონი დ. სმითის მიერ წარმოდგენილი ნაციონალიზმის დასავლური სამოქალაქო იდენტობის ფორმირების ფარგლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოდელის მიხედვით საერთო კულტურა, სამოქალაქო იდეოლოგია აკავშირებს ერთობის წევრებს ერთმანეთთან მათსავე მიწაწყალზე. განათლების სისტემა, გაჯერებული ეროვნულთან ერთად სამოქალაქო თვითშეგნების იდეით, უზრუნველყოფს ნაციონალური იდენტობის ფორმირებას, რომელიც

[1] სცსსა, ფონდი 1935, აღწ. I, საქმე #518, ფურც. 4

[2] იქვე

ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკას განათლების სისტემის სიღრმისეული ტრანსფორმაციით უნდა განეხორციელებინა.

Ana Khvedeliani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Reorganization of School, as a Basis of Formation of National Identity (1918-1921)

Summary

Key words: *Nationalism, National Identity, Educational policy, Georgia, First Republic of Georgia*

The Paper is an attempt to understand reforms of education caried out in the Democratic Republic of Georgia (1918-1921) from the perpective of nationalism and identity researches.

The study of the history of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) has received a particular attention recently, including the study of government reforms in the the field of education. But this issue has non been analyzed against the background of formation of national identity. The tree-year legacy of Georgia's independence does not lose its actuality even today. Moreover, it is becoming increasingly important and necessary to study and analyze the First Republic's legacy properly to restore the historical memory that was the victim of the Soviet ideological regime.

The political and intellectual elite of the First Republic, majority of which were also in the legislative bodies, had been discussing many ways to organize of education system, the need for proper planning and implementation of reforms. Studiyng and alanyzing of Georgian press in this period as well as observations over archival materials reveals that the first goal of the Georgian reformers was to eliminate the process of Russification in the educational system and, in addition to nationalization and democatization of education, develop a national concept of education that means to nationalization school. Also, bringing the Georgian reality into conformity with the European education system was their main concern. The policy of nationalization of the Georgian educational and cultural institutions was a new, major state program aiming development of Georgian language. Teaaching of Georgian for those who did nt know this language became mandatory. But this fact underlined the issue of national minorities in educational and institutions. Number of provisions have been worked out at the legislative level, which expressed democratic approaches to the national minorities. A significant challenge of the educational policy of the Democratic Republic of Georgia was the

situation in the regions of Abkhazia and South Ossetia. There were also the number of controversies. In both regions together with demand of cultural autonomy the issue of political autonomy was also highlited.

The chonological framework of the research allowes us to bring up the following issue: Reorganization of school as a basis of formation on national identity 1918-1921. When political elites achieve their goal – independence of the country, so the following question arises: what is the nature of the post-independence nationalism, what are its characteristics. In this article we will try to answer this question with discussing about one of the directions of the educational policy of the independent republic of Georgia, - reorganization of school system. In particular, we analyze the report of the Deputy Minister of Education –Noe Thintsadze.

We use the modern theory of nationalism as a theoretical framework for our research, whose representatives consistently emphasize the crucial and determinative role of education in the formation of national identity. The large cultural system - print media, distribution of literacy skills, education – are forms the basis for political goals and movements. The development of schools and universities is directly linked to the processes of self-determination of the nation. The theorists of nationalism agree that ruling elites are themselves putting cultural, educational and linguistic standards to agenda. They map the contours of national identity of citizens through a balanced policy. If we look through the educational policy of the Democratic Republic of Georgia, we will see that the educational policy of the Democratic Republic is aimed at establishing the cultural, educational and linguistic standards of the nation for formation of the national identity. In view of this, it becomes clear that the Georgian state is the only acceptable cultural and political form for the further development of the Georgian nation.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდერსონი ბ. 2003 წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. თბილისი.

ბენდიანიშვილი ა. 2001 საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი.

გავაშელიშვილი ა. 2004 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა. თბილისი.

გაიპარაშვილი ზ. 2017 პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები
დამოუკიდებელ საქართველოში.

საყვარელიძე გ. 1992 მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918 - 1921. თბილისი.

სმითი ე.დ. 2008 ნაციონალური იდენტობა. თბილისი.

ჩხაიძე ი. 2009 ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“). თბილისი.

ჭუმბურიძე დ. 2002 განათლება 1918-1921 წლებში. თბილისი.

ჰობსბაუმი ე. 2012 ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან. თბილისი.

Barrington W.L. 2006 Nationalism and Independence, After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist State. Michigan.

Hobsbawm E. 1962 The Age of Revolution, 1789 – 1848. London.

Seton-Watson, H. 1977 Nations and States. London.

წყაროები:

გაზეთი “ერთობა”, 1918 წელი, №22
სცსსა, ფონდი 1935, ანაწ. I, საქმე № 51